პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 237 (13621) | სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საჭოთა კავშირის მშრომელებო!
დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი
აღვნიშნოთ ახალი წარმატებებით
კომუნისტურ მშენებლობაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
საოქტომბრო მოწოდებებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ, ყოვლისმძლე რევოლუციურ მოძღვრებას!

4. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხუთწლიანი გეგმის შესრულებას!

წინ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

5. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში!

6. მგზნებარე სალამი მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს!

7. გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე!

8. სოციალიზმის ქვეყნების ხალხებო, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლო ხალხებო, მთელი მსოფლიოს მშრომელებო! გააერთიანეთ ძალები იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

9. ყველა ქვეყნის ხალხებო! ამხილეთ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები! გააძლიერეთ ბრძოლა გაბლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის!

10. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესიული ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, გადაჭრით მოითხოვეთ ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან!

დაე ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს საერთაშორისო სოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან!

11. ევროპის ხალხებო! იბრძოლეთ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებისათვის!

12. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთგერმანელმა რევანშისტებმა ხელთ იგდონ ატომური იარაღი! მიაღწიეთ იმას, რომ გერმანიის საკითხი გადაწყდეს მშვიდობისმოყვარულ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე!

13. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მთავარ მონაპოვარს!

დაე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა შეკავშირება, ძმური მეგობრობა და ერთობა!

14. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

15. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

16. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

17. ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი კუბის რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

22. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

23. ძმური სალამი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

24. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

25. ძმური სალამი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

26. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

27. მხურვალე სალამი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და იბრძვის თავისი ქვეყნის განვითარების სოციალისტური გზისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

28. მხურვალე სალამი ალჟირის ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

29. მხურვალე სალამი სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

30. მხურვალე სალამი ბირმის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, თავიანთი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

31. მხურვალე სალამი გვინეის, ბრაზავილის კონგოსა და მალის ხალხებს, რომლებიც აშენებენ დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებს და იბრძვიან თავიანთი ქვეყნების სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და გვინეის, კონგოსა და მალის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

32. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

33. მხურვალე სალამი პაკისტანელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს პაკისტანისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

34. მხურვალე სალამი ინდონეზიელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

35. მხურვალე სალამი მამაც სამხრეთვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციისა და მოსყიდული ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის!

36. მხურვალე სალამი კამბოჯის, ლაოსის, ნეპალისა და ცეილონის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

37. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

38. მხურვალე სალამი სამხრეთ კორეის მამაც ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის ჯარების გაყვანისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის!

39. მხურვალე სალამი არაბთა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

40. მხურვალე სალამი სამხრეთ არაბეთისა და ომანის ხალხებს, რომლებიც ეწევიან სამართლიან ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

41. მხურვალე სალამი აფრიკის სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის!

42. მხურვალე სალამი ანგოლის, მოზამბიკის, „პორტუგალიის“ გვინეის, როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის ხალხებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

43. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების სრული დამოუკიდებლობისათვის!

44. მეგობრული სალამი საფრანგეთის ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ფრანგი ხალხის ტრადიციული მეგობრობა საყოველთაო მშვიდობისა და ევროპის უშიშროების ინტერესებისათვის!

45. მეგობრული სალამი დიდი ბრიტანეთის ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების თანამშრომლობა ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, ევროპის მშვიდობიანი განვითარებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის!

46. მეგობრული სალამი ამერიკელ ხალხს! დაე ფართოვდებოდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების თანამშრომლობა მსოფლიო ომის თავიდან აცილების მიზნით!

47. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და იტალიისა და საბერძნეთის ხალხების მეგობრული ურთიერთობა!

48. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ირანისა და თურქეთის ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობა!

49. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებსა და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის წინააღმდეგ და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

50. მხურვალე სალამი გმირ ესპანელ ხალხს, რომელიც იბრძვის ფაშისტური დიქტატურის ლიკვიდაციისა და დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის!

51. მხურვალე სალამი პორტუგალიის ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის თავისუფლებისათვის, ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ!

52. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის, ავსტრიის, შვეიცარიისა და შვეიცარიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

(დასასრული მე-2 გვ.)

მეგობრული ვიზიტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 16 ოქტომბერს მოსკოვში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. კალი და ეროვნული სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. ცინეგე.

დედაქალაქის კიევის ვოგზალზე სტუმრებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. პოდგორნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო და. სხვები.

შემხვედრთა შორის იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ი. სიპკა. (საკ.ფსი).

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 17 ოქტომბერს მეგობრობის ვიზიტად ჩამოვიდნენ მოსკოვში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო რუსი.

ზეიმის წინ მოსკოვში

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. (საკ.ფსი კორ.). დღეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის კონფერენც-დარბაზში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა — მწერლებმა, კულტურის მოღვაწეებმა, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა განიხილეს საზეიმო საღამოს მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. საზეიმო საღამო 25 ოქტომბერს გაიმართება სსრ კავშირის დიდ თეატრში. კომიტეტის წევრებმა დიდი ყურადღება დაუთმეს აგრეთვე დიდი პოეტისა და ჰუმანისტის ძეგლის მომავალ გახსნას მოსკოვში.

დასასრულს უახლოვდება რთველი კახეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გურჯაანის რაიონის მეკვენახეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ყურძნის დამზადების საქმეში. დიდი წვლილი შეიტანეს ქოდალოელმა მეკვენახეებმაც.

სურათზე: რთველი გურჯაანის რაიონის სოფელ ქოდალოს მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ხ. ჯილაძისა.

იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

12-17 ოქტომბერს მუშაობას განაგრძობდა პარტიულ მუშაკთა თათბირი-სემინარი, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის საკითხთა განხილვას სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირ-სემინარზე ლექციებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ფ. შაურო და დ. პ. შევლიაგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ტ. კ. კუპრიკოვი, სრულიადსაკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სემიჩასტნი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ტ. ნ. ნიკოლაევა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. კურეოდოვი.

იდეოლოგიური მუშაობის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ შემდეგი რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები: ბელორუსიისა — ს. ა. პილოტოვიჩი, უზბეკეთისა — რ. ნ. ნიშანოვი, აზერბაიჯანისა — შ. ჯ. ყურბანოვი, ტაჯიკეთისა — ი. რ. რახიმოვი, ლიტვისა — ა. ს. ბარკაუსკასი, საქართველოსი. ფ. გ. სტურუა, ყირგიზეთისა — ბ. ტ. მურატალიევი, სომხეთისა — რ. გ. ხაჩატრიანი, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნები: სვერდლოვსკისა — მ. ა. სურგეევი, ტულისა — გ. პ. საფრონოვი, ვოლგოგრადისა — ა. ა. ნეჩენზაა, პერმისა — ი. ი. კირიენკო, კურსკისა — ტ. ი. არხიპოვა, ზაპოროჟიესა — ვ. ი. პეტრიკინი, ლვოვისა — ვ. ე. მალანჩუკი, სკკპ გორკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ვ. სმირნოვი, სკკპ ხანტი-მანსის საოკრუგო კომიტეტის მდივანი ლ. გ. ტაღლაშვილი.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

მარნეულელ მეკვენახეთა წარმატება

საუბარი საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. შ. ნემსაძესთან

სასახელო შრომითი წარმატებები მოიპოვეს მარნეულის რაიონის მეკვენახეებმა, რომლებმაც ფართოდ გაიხადეს დიდი თარიღების—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესაბამისად, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ნემსაძემ.** წელს ამინდი ჭირვეულობა დაძლეულ იქნა და მეკვენახეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. **17 ოქტომბრისათვის მოკრეფილია და ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 6.660 ტონა ყურძენი ნაცვლად 4.103 ტონისა.**

რაიონის მეკვენახეებს პირველად ვალდებულება ჰქონდათ ნაკისრი გეგმის გადამეტებით დამზადებინათ 2.000 ტონა ყურძენი. 14 ოქტომბრისათვის ეს ვალდებულება გადაჭარბებით არის განაღდებული. შემდეგ ნაკისრი ვალდებულება იყო 500 ტონა. ესეც შესრულებულია.

ყურძნის დამზადებაში განსაკუთრებით ისახელა თავი ყულარის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც დაამზადა 1.830 ტონა ყურძენი ნაცვლად 1.400 ტონისა. ალგეთის მეკვენახეობის საბჭოთა მეურნეობამ დაამზადა 1.650 ტონა ნაცვლად 1.200 ტონისა. დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ვალდებულებანი ყაჩაღნის მეურეეობა-მებოსტნეობის, ხრამის მეკვენახეობის, შაუმიანის, სადახლოს, მარნეულის საბჭოთა მეურნეობებმა. რაიონის რვიდმეტივე საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა.

მარნეულელმა მეკვენახეებმა **გადაწყვიტეს დამატებით კიდევ მოკრიფონ და ღვინის ქარხნებს ჩაბარონ 5.000 ცენტნერი ყურძენი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავისადმი

(დასასრული)

53. მხურვალე სალამი ფინეთის ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხების მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

54. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

55. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, ატომური იარაღის აკრძალვისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხების მეგობრული ურთიერთობა!

56. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

57. საბჭოთა მეომრებო! წმიდად დაიცავით და ამრავლეთ საბჭოთა არმიისა და ფლოტის გმირული ტრადიციები, მოიპოვეთ ახალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, განამტკიცეთ მხედრული დისციპლინა, მუდამ მზად იყავით ყოველი აგრესორის შესამუსრავად!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

58. დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

59. დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთობა და ძმური მეგობრობა!

60. დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და კოლექტივებს! დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

61. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის!

62. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! გაზარდეთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უკეთ გამოიყენეთ კაპიტალური დაბანდებანი და ძირითადი ფონდები, უფრო სწრაფად აითვისეთ ახალი სიმძლავრენი!

63. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განამტკიცეთ ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, განავითარეთ სამეურნეო ანგარიში, გაზარდეთ წარმოების რენტაბელობა!

64. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

65. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ მატერიალური რესურსებისა და სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის! იბრძოლეთ უყაირათობის, ზედმეტობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ!

66. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განახორციელეთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მტკიცედ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევანი და მოწინავე გამოცდილება! უფრო ფართოდ გამოიყენეთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდები!

67. საბჭოთა მეტალურგებო და მაღაროელებო! გაზარდეთ მადნის ამოღება, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება! იბრძოლეთ ნედლეულის კომპლექსური გამოყენებისათვის, გააფართოეთ ლითონის სორტამენტი, გაუუმჯობესეთ მისი ხარისხი!

68. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უფრო სწრაფად აამოქმედეთ ელექტროსადგურების სიმძლავრენი და ახალი ელექტროგადამცემი ხაზები, შეამცირეთ ენერგოსისტემათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის ღირებულება!

69. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო აღჭურვეთ სახალხო მეურნეობა უახლესი, ეკონომიური და საიმედო მანქანებით, ხელსაწყოებით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებით!

70. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ ქვანახშირის ამოღება. შეამცირეთ მისი თვითღირებულება! უკეთ გამოიყენეთ სამთო ტექნიკა!

71. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ ნავთობისა და გაზის მოპოვება! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები!

72. ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ნავთობისა და ნავთობქიმიის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის! უფრო ფართოდ დანერგეთ ახალი ტექნიკა და წარმოების პროგრესული ტექნოლოგია!

73. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში საჭირო ქიმიური პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის! მეტი მინერალური სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებანი სოფლის მეურნეობას!

74. საბჭოთა გეოლოგებო! უფრო სწრაფად აღმოაჩინეთ ჩვენი სამშობლოს წიაღის სიმდიდრენი, გაზარდეთ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა.

75. საბჭოთა მშენებლებო, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! წარმატებით შეავასრულოთ ახალი ხუთწლედის სამშენებლო სამუშაოთა პროგრამა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა!

76. საბჭოთა მშენებლებო! დააჩქარეთ მშენებლობის ტემპები, გაუმჯობესეთ მისი ხარისხი და შეამცირეთ ღირებულება! უფრო სწრაფად აამოქმედეთ საწარმოო, საცხოვრებელი, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები ქალაქად და სოფლად!

77. სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებო! მიეცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი მერქანი, ხე-ტყე, ცელულოზა და ქაღალდი!

78. მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ მისი ასორტიმენტი და ხარისხი!

79. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, გააუმჯობესეთ თევზის პროდუქტების ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება!

80. ტრანსპორტის მუშაკებო! უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ტვირთზიდვაზე! უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს! შეამცირეთ ტვირთების გადატანის ვადები, შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება.

81. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! უკეთ მოემსახურეთ მოსახლეობას!

82. სახელი და დიდება სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს!

83. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის! გაზარდეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა! წარმოებაში დანერგეთ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევანი და მოწინავე გამოცდილება, იბრძოლეთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობისათვის!

84. სოფლისა და წყალთა მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის, განახორციელეთ მიწების მელიორაციის ფართო პროგრამა, გაზარდეთ ნიადაგის ნაყოფიერება, იბრძოლეთ მიწის ყოველ ჰექტარზე უხვი მოსავლისათვის!

85. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებო! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის! უკეთ შეისწავლეთ, ნაყოფიერად გამოიყენეთ და გაუფრთხილდით ტექნიკას!

86. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! გააუმჯობესეთ ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, უკეთ მოემსახურეთ მოსახლეობას!

87. ყოფა-ცხოვრების სამსახურის მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მათი მოთხოვნილებანი!

88. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, აღმოფხვერით ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება!

89. სახალხო კონტროლის მუშაკებო და აქტივისტებო! უფრო ფართოდ ჩააბით მშრომელები კონტროლის საქმეში! იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის სახალხო მეურნეობაში!

90. მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის. ტექნიკური პროგრესისათვის! განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან! ამზადეთ კომუნიზმის ეპოქის ღირსი სპეციალისტები!

91. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც ახალი ჰორიზონტები დასახეს კოსმოსური სივრცის ათვისებაში!

დიდება მამაც საბჭოთა კოსმონავტებს!

92. კულტურის მუშაკებო! იბრძოლეთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარების, მისი მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების დარგში! ყოველმხრივ გააუმჯობესეთ საბჭოთა ადამიანების კულტურული მომსახურება!

93. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! იბრძოლეთ ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! უფრო ნათლად ასახეთ საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე, მისი მგზნებარე პატრიოტიზმი, ბრძოლა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

94. განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ სახალხო განათლება, ჩაუნერგეთ მოზარდ თაობას შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმის გრძნობა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება!

95. მედიცინის მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის! პრაქტიკაში დანერგეთ მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები!

96. გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა დემოკრატია, იზრდებოდეს მშრომელთა აქტივობა ქვეყნის საქმეთა მართვაში!

97. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

98. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

დიდება დედას, შვილების აღმზრდელს, დაუცხრომელ მშრომელს წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში!

99. რევოლუციის, შრომისა და ომის ვეტერანებო! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ- საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდაში!

100. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს.

101. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

102. პიონერებო და მოსწავლეებო! კარგად ისწავლეთ, გიყვარდეთ და პატივი ეცით შრომას, ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის. კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

103. კომუნისტებო! იყავით სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ავანგარდში!

104. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, მსოფლიოს ყველა ადამიანთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

105. გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

106. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

107. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

108. გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ეკონომიკური ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ქართული ელმავლის საამჭედლოში

უველაზ იცის თუ რა პროდუქციას უშვებს ეს საწარმო. საბჭოთა სამშობლოს ფოლადის მაგისტრალებზე ამაყად დაჭრიან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიერ გამოშვებული ძლაფარი ელმავლები. ისინი საშვილიშვილო საქმეებს აკეთებენ ახალი ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ჯერ კიდევ პარტიული კონფერენციის დაწყებამდე სამსხმელო საამქროს უფროსმა, კონფერენციის დელეგატმა დ. ეაჭაძემ მიამბო:

— კარგი მაჩვენებლებით ხვდება ჩვენი ქარხნის პარტიულ კონფერენციას სამსხმელო საამქროს ოკლიქტივი. ცხრა თვის საწარმოო გეგმა 114 პროცენტით შეგასრულეთო, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2,2 პროცენტით შეგამცირეთ, ხელფასს ფონდში 2.755 მანეთის ეკონომიას მივაღწიეთ.

ახლა თვალს რომ ვადევნებ ქარხნის ცხოვრების ძაღინცემას, უნებლიეთ მაგონდება ეს დღე, როცა პირველად მოვედი აქ. ეს იყო 1949 წელი. რა დიდი სიხარული იყო ძაბინ ჩვენთვის პირველი ელმავლის გამოშვება შეკეთებიდან. ქალაქს მოწყვეტილ ქარხანაში (ომიანობიდან ქარხანამდე თითქმის არავითარი ტრანსპორტი არ არსებობდა) ხალისით ბიდიოდნენ ადამიანები, სიძნელეების გადალახვაში ეკაქცდებოდით.

ახლა? ხედავთ, როგორ გაიზარდეთ, როგორ დაეკაქაცდით. ამიტომაც ახალი ტიპის ელმავლების მშენებელი ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ საბჭოთა კავშირში.

არსად ისე არა ჩანს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. სწორედ აქ იგრძნობა მთელი პარტიული ცხოვრების ბაგიცემა, სარკესავით ჩანს კარგიც და ცუდიც.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის გამართული მუშაობის შედეგად ქარხნის თვითეულმა მუშამ, ინჟინერ-ტექნიკოსმა, კონსტრუქტორმა ზუსტად იცის თავისი ადგილი და მოვალეობა ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მთელი ძალების დაძაბვით შედეგლდის დავალება შესრულებულ იქნა ექვს წელიწადსა და ექვს თვეში. მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა კი 101.7 პროცენტით გაანადღდეს. წინა წლებთან შედარებით ამაღლდა ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის დონე. ჯარგის მთქმელი სხვა ბევრი მაჩვენებელიც დაასახელეს.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებაში ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. გურუმანა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა შემართებით მუშაობენ კომუნისტები წარმოების იმ უბნებზე, სადაც სიძნელეებია, სადაც საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა.

ახლის, პროგრესულის ძიება კომუნისტთა პირველი რიგის ამოცანაა. მართლა მიმდინარე წლის ცხრა თვეში ქარხანაში დანერგილია 236 რაციონალიზატორული წინადადება და რაც გამოგონებანი. ამათგან ეკონომიის ჯამი შეადგენს 165.000 მანეთს. დაზოგილია ლითონები 13,6 ტონა, ფერადი ლითონი 14,4 ტონა, საიზოლაციო მასალები 38.800 მანეთისა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტმა რაციონალიზაციორებმა ვ. მახარაძემ, ე. ბუბებრიამ, ვ. სუეროვმა, დ. გიგაურმა...

მრავალი სიტყვა ითქვა კომუნისტთა პირადი მაგალითის ძალზე. მისაბაძი და საამაყო ამ მხრივ ქარხანაში მართლაც ბევრია.

ამწყობი საამქროს ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვასილ პაპინაშვილი. ამავე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ ჩადღნელი, საბჭოთა კავშირის გმირი. შემკეთებელ-მექანიკური საამქროს ტვირთამწე მექანიზმების ინჟინერ-ზედამხედველი შოთა შურღაია, ქარხნის მოწინავე ადამიანები ი. გელაშვილი, გ. ანიაშვილი, შ. დვალიშვილი, გ. ხეცურიანი, ფ. კორნიეტკო, გ. ოგანოვი, ა. ლომიძე, ა. ერაძე, ვ. მახარაშვილი... ვინ ჩამოთვლის მოწინავეებს, ისინი აქ ათობითა და ასობით არიან!

ორატორებმა ისიც აღნიშნეს, რომ მაღე ქარხანა დაიწყებს მეურნეობის გაძღოლას ახალი მეთოდით მუშაობას. ქარხნის პარტიული ორგანიზაციები, საამქროთა პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ უჭერენ მხარს ნოვატორულ წამოწყებებს, ყოველივე პროგრესულს, ახალისებენ სამეურნეო მუშაობის ინიციატივას. ზრდიან მათს პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი.

ქარხნის კოლექტივმა, კომუნისტებმა კარგად იციან, რომ სამეურნეო რეფორმის განხორციელება არცთუ ითლი საქმეა. კომუნისტები, სპეციალისტები ღრმად სწავლობენ ეკონომიკის საკითხებს, საჭირო დასკვნებს აკეთებენ დიდი და მცირე ფაქტებიდან. წარმოების ეკონომიკისადმი განსაკუთრებული ყურადღება ახლა აქ მთავარია. ამ მიზანს ემსახურება პარტიული ორგანიზაციის მთელი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება.

მაგრამ, — განაცხადა მომხსენებელმა, — ამ საქმეში გვაქვს ხარვეზებიც. კონფერენციაზე მკაცრად გაკრიტიკეს ქარხნის მთავარი ეკონომისტი ბ. ვართანოვი, რომელიც ერთობ ხანტად წყვეტს მატერიალური დაინტერესებისა და დაგეგმარების საკითხებს.

კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა საწარმოო-სადისპეტჩერო დარგის მუშაკთა მისამართით, რომლებიც დროულად ვერ აკეთებენ საჭირო ანალიზს საამქროთა მუშაობიდან.

ელექტროსამანქანო საამქროს უფროსმა გ. კერესელიძემ ილაპარაკა საამქროს კომუნისტთა ნაყოფიერ საქმიანობაზე. ამავე დროს თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ საამქროში ადგილი აქვს გაცდენებს, დროს უმიზეზოდ ხარჯვას, მუშათა დისციპლინის ფაქტებს. ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა, მათი აღზრდა საერთო-სახალხო საქმისადმი სიყვარულით, თვითეული კომუნისტის სისტემატიურად საქმედ უნდა გადაიქცეს.

სხვა დელეგატთა სიტყვებიდანაც ცხადი გახდა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამუშაო დღის სწორად დატვირთვას, რაციონალურად გამოყენებას. კომუნისტები აგრეთვე ხახს ტსამდნენ, რომ ქარხანაში ზოგჯერ ადგილი აქვს ირიშობანას, არარეგულარულ მუშაობას. გაუმჯობესების მოითხოვს საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე. ქარხანამ წელს სამშობლოს რამდენიმე ელმავალი დაიკლო.

საინტერესო საამქროს მღარავმა კომუნისტმა კ. ორაგველიძემ ილაპარაკა იმაზე, რომ რიგ საამქროებში დაბალია წარმოების კულტურა, შესამჩნევად მოიკოჭლებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

როგორც დელეგატებმა მ. დოლიძემ, ლ. ორმოცაძემ, ა. ფოფხაძემ, გ. ჩიტაიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და საამქროთა პარტიულმა ორგანიზაციებმა მცირე მუშაობა როდი გასწიეს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. მაგრამ ქარხანაში პროდუქციის წესი მაინც არის. ადგილი აქვს თვითდამშვიდების ფაქტებს.

კომუნისტის მოვალეობაა არა მარტო იძლეოდეს სიგნალს, გამოდაიდეს ყრილობაზე შენიშვნით, არა მარტო წუხდეს მუშაობაში ამა თუ იმ ნაკლისა და შეცდომის გამო, არამედ მთელი თავისი შესაძლებლობით აქტიურად უჭერდეს ხელს მათ გამოსწორებას.

დელეგატმა ოსტატმა ი. ბორობჩენკომ ილაპარაკა საამქროთა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ დონეზე ჩატარების შედეგების შესახებ. ამაღლდა კომუნისტთა აქტივობა და ავტორიტეტი. კომუნისტები მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა კაკეთდა საანგარიშო პერიოდში, როგორ იყენებენ რეზერვებს. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით ამხილებდნენ წარუმატებლობათა მიზეზებს. ახლა მთავარია: კომუნისტთა საქმიანი წინადადებებიდან, შენიშვნებიდან გავაკეთოთ ანალიზი, უზრუნველვყოთ ნაკლის სწრაფად აღმოფხვრა.

ელმავალმშენებელი კომუნისტები სიძნელეებს როდი არიდებენ თვალს, პირიქით, ეძებენ მათ, რომ აღმოფხვრან, წინ იარონ. ახალი ძალით გამოიღდა სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღების — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ამ პატრიოტულ მოძრაობაში ჩაბმულია ყველა საამქრო, წარმოების ყველა უბანი. მაგრამ, როგორც ეს აღნიშნა დელეგატმა ვ. ღვალაძემ, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს ყოველთვის როდი აკნობენ თვითეულ მუშას. ამ საქმეში აღგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული ნაკლი ახასიათებს საქარხნო კომიტეტსაც, რომლის თავმჯდომარე თვითონ ვ. ღვალაძეა. მანვე თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ საქარხნო კომიტეტი მოუქნელად მუშაობს ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის.

— ჩვენს პარტიულ კონფერენციაზე, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა გ. სამხარაძემ, — მთელი სიცხადით გამოჩნდა ელმავალმშენებელთა ავანგარდის — კომუნისტების დაუღალავი შრომის შედეგები, ხარვეზები და მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

კონფერენციაზე სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ქარხნის კომუნისტთა ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. ფრუიძემ.

ელმავალმშენებელთა მესამე პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ლოლაშვილმა და პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ახუთიძემ.

ელმავალმშენებელმა კომუნისტებმა კონფერენციაზე დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი ახლად არჩეული პარტიული კომიტეტის, საამქროთა პარტიული ორგანიზაციების, ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ახალი ხუთწლედის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ა. გოცირიძე.

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ცხრა თვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. საწარმოს კოლექტივი წარმატებით შრომობს ოქტომბერშიც. ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა მუშებს (მარცხნიდან) ც. ტორონჯაძეს, დ. ნატროშვილს და ნ. ლომინაშვილს, რომლებსაც ფოტოსურათზე ხედავთ.

ფოტო ჯ. ტბაკაძისა.

ასურეთის ზვრების ბარაქა

ხავიანი შემოდგომაა თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის კოლმეურნეობაში. ზვრებში რთველია გაჩაღებული. სწრაფად ივსება კალათები. ივანე და ნიკოლოზ გოგიაშვილები დატვირთული ავტომანქანებით განუწყვეტლივ გამოდიან. ზვრებიდან და ღვინის ქარხნისაკენ მიემართებიან. აქ ინჟინერ-ტექნოლოგი ნ. გორგიშვილი და ლაბორატორიის მუშაკები გულჩორა გოცირიძე და ნათელა გორგობიანი ყურძნის შაქრიანობით კმაყოფილი არიან. ნაცვლად 18-19 პროცენტისა შაქრიანობა 20-21 პროცენტს აღწევს.

საუკეთესო მოსავალი მოიყვანა იმ ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პავლე წულუკიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებს ვაზისათვის მზრუნველი ხელი არ მოუკლიათ, დროზე ასრულებდნენ ყველა სამუშაოს. ახლა კი იმიკან თავიანთი შრომის ნაყოფს. 55 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ ყურძენს იღებენ. გეგმა კი 67 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ქების ღირსია მევენახე რეზო გოცირიძე. მას 0,6 ჰექტარზე გეგმით 46 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო, ფაქტიურად 96 ცენტნერს დადაჭარბა. მოსავლიანობის გადიდებისათვის რ. გოცირიძეს პრემიის სახით 2.300 კილოგრამი ყურძენი ერგო, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს მიჰყიდა და 1.100 მანეთი მიიღო.

ოთხმოცი წლის მოხუცი თეოფილე ბერიშვილი ყოველ წელს სასახელოდ მუშაობს. წელსაც ყველა უქებს მარჯვენას. ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა და ამით გეგმას 34 ცენტნერით გადაჭარბა. თვითონ ბრიგადირმა პავლე წულუკიძემ ისე მოუარა ვენახს, რომ ჰექტარზე უზრუნველყო 140 ცენტნერი ყურძნის მოღება. ყურძნის სიუხვეში არც ამოლონ პეტრიაშვილი, კოტა არჩვაძე, ნიკოლოზ მეტრეველი, ივანე რეხვიაშვილი, დავით მეტრეველი, კარლო გოცირიძე, ლევან არჩვაძე, გიორგი მეტრეველი, მიხეილ ბერაძე და სხვები ჩამორჩებიან.

ბარაქიანი რთველით აღფრთოვანებული არიან მოსწავლეებიც. მერვე კლასის მოსწავლე თამარ მეტრეველი თავისუფალ დროს მუდამ ზვრებშია და ყურძნის კრეფაში ეხმარება თავის დედას. იგი დღეში კრეფს 300 კილოგრამ ყურძენს ნაცვლად 250 კილოგრამისა.

წელს ასურეთელმა მევენახეებმა, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, ბევრი იშრომეს. სოკოვანი დაავადებებისა და გვალვის წინააღმდეგ. ზვრებში ყველა სამუშაო აგროწესების სრული დაცვით შეასრულეს. ახლა თავიანთი შრომის შედეგით ამაყობენ. მართლაც აქვთ საამაყო. ასურეთის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. ჩოგობავაშვილი, პარტბიუროს მდივანი ო. უაზიშვილი) წელს სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 180 ტონა ყურძენი. ეს დავალება უკვე გადაჭარბებით შეასრულეს. წლიური გეგმის ზევით ნახელმწიფოს მივეცეთ კიდევ 240 ტონა ყურძენი — ასეთი დევნზით მუშაობენ ახლა ასურეთელი მევენახეები. ქვრივსფერი ყურძნით დატვირთული ავტომანქანები ყოველდღე ქარხნისაკენ მიემართებიან და წლიური გეგმის ზევით აბარებენ ყურძენს. მარტო გუშინ ქარხანას გადასამუშავებლად ჩაბარეს 40 ტონამდე ყურძენი.

— თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა. — თქვა საუბარში პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მეორე მდივანმა დ. ჩოგობავაშვილმა, — ამ საქმეში დაწინაურდნენ ბორბალოს, ჯორჯიაშვილის, კოდის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს 25 ოქტომბრამდე სახელმწიფოს წლიური გეგმის ზევით მიჰყიდონ 350 ტონა ყურძენი.

შ. ჯოჯუა.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი, სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1966 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

№ 110

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა დაამთავრა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის VI-ე კონგრესმა

ბერლინი. აქ მუშაობა დაამთავრა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის VI კონგრესმა. კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებშიც განსაზღვრულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის VI კონგრესმა საერთაშორისო პრემიები გადასცა ჟურნალისტებს — გაზეთ „ალ-ტაჰრირის" მთავარ რედაქტორს აბდურაზმან იუსუფს (მაროკო), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს პროფესორ გ. ეისლერს, ამერიკის გაზეთ „ნიუნლ გარდიანის" პუბლიცისტს ს. ბელფრეიჯს, აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტ და დემოკრატ ჟურნალისტთა ასოციაციას. პრემია სიკეთლის ბრძოლაში.

შემდეგ მიენიჭა ვენესუელელ ჟურნალისტს ფაბრიციო ობადალს, რომელიც დაიღუპა ვენესუელელი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კონგრესმა აირჩია ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ჟან-მორის ერმანი (საფრანგეთი). ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ახლად არჩეულ 18 ვიცე-პრეზიდენტს შორის არის საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმიანინი.

ოვაცია არ ყოფილა

პარიზი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როცა გუშინ ამერიკელი კოსმონავტები არმსტრონგი და გორდონი ჩავიდნენ ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში, არ ყოფილა არც შემხვედრნი, არც სპეციალური ესკორტი, არც მისალმების შეძახილები. კოსმონავტების მანქანის გამოჩენამდე რამდენიმე წუთით ადრე იგივე მარშრუტით გაიარა კოსმონავტებად გადაცმულმა ორმა ბოლივიელმა სტუდენტმა. პოლიციელთა ესკორტი გაჰყვა სტუდენტთა მანქანას, რომლებიც საპასუხო სალამს აძლევდნენ პოლიციელებს. როცა ნამდვილი კოსმონავტები გამოჩნდნენ, იოწყეს ფრანს პრესის სააგენტო, მათ მხოლოდ რამდენიმე განცვიფრებულმა გამვლელმა გააყოლა თვალი.

ზანგთა „პრივილეგია"

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გაზარდონ იმ ზანგთა რიცხვი, რომლებსაც ვიეტნამში გზავნიან საომარ მოქმედებაში მონაწილეობისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ნელ შეინი გვაუწყობენებს, რომ 40.000-ზე ახალგაზრდა ამერიკელი, რომლებიც ადრე დაიწერნენ არასამართლიანი გონებრივი მომზადების გამო, ახლა გაიწვევენ ჯარში და ვიეტნამში აგზავნიან. ამ ახალწვეულთა თითქმის მესამედი ზანგები არიან.

როგორც კორესპონდენტი წერს, ახლა ვიეტნამის ომში მონაწილე ზანგთა პროცენტი ერთიორად და უფრო მეტად აღემატება ზანგთა წილს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაში, რომელიც ძალიანად 11 პროცენტს შეადგენს.

სხმელეთი ძალების 1965 წელს დაზიანებულ ყველა სამხედრო მოსამსახურის 23,5 პროცენტს ზანგები შეადგენენ, დასძენს კორესპონდენტი.

მეგობრობის დეკადა

ბრიუსელი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგიელ და საბჭოთა ხალხების მეგობრობის დღისასწაულად გადაიქცა გუშინ კოსმონავტი მურინავის ვ. ნიკოლაევ-ტერეშკოვას ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დეკადასთან დაკავშირებით.

მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს კომუნის მთელი მოსახლეობა შეხვდა. დარბაზობაზე, რომელიც მერიაში გაემართა საბჭოთა სტუმრებს, კომუნის ბურგომისტრმა წარმოთქვა სიტყვა და ხაზი გაუსვა ბელგიისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების დიდ მნიშვნელობას. მან განაცხადა, რომ დღეიდან მშვიდობის მოციქული ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა კომუნის საპატიო მოქალაქეა. დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში პ. ი. გერასიმოვი, ცოლ-ქმარი ამეარები, რომლებიც ამას წინათ საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოვეს მამაცობისათვის, რაც მეორე მსოფლიო ომის წლებში გამოიჩინეს საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა დახმარების დროს, ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

საბჭოთა სტუმრებმა და კომუნის ხელისუფლთა წარმომადგენლებმა ვალერგანიერი შეამკეს პარტიზანული რაზმის ყომბარის მაიორ დოცენკოს სიფლავი, რომელიც მამაცურად დაიღუპა 1944 წელს პიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავე დღეს გვიან საღამოს ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა შეხვდა ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დეკადის ორგანიზატორებს და საზოგადოების ამ პროგრესიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს.

ოვეხედულებათა ერთიანობა

პარიზი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). 15 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე და აქ მყოფი ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორი პარტიის ურთიერთობის, ევროპისა და მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ტოდორ ჟივკოვმა და ვალდეკ როშემ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორივე მოძმე პარტია ყოველთვის ეხმრაფოდა ბულგარელ და ფრანგი ხალხების დაახლოებასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

საუბარმა ცხადყო, რომ ორივე პარტია ერთნაირი შეხედულებისაა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრამ ბულგარეთის და მეგობრულ გათარებაში ჩაიარა.

ასტრონავტთა XVII კონგრესი

პარიზი, 17 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). საბჭოთა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასტრონავტთა XVII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც მადრიდში დამთავრდა. საკდესის პარიზელი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მადრიდს და კონგრესის მონაწილეთა ჯგუფს სთხოვა შთაბეჭდილებანი გაეზიარებინათ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ო. გ. გაზენკომ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების კომისიის სწავლულმა მდივანმა ი. ვ. მილოვიდოვმა საუბარში აღნიშნეს, რომ საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ კონგრესის ყველა სექციის მუშაობაში, როგორიცაა: ასტროდინამიკის, ბიოასტრონავტიკის სექციები და ტელეკომუნიკაციებისათვის, გეოდეზიური და კარტოგრაფიული კვლევისათვის დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გამოყენების საკითხთა სექციები.

კონგრესზე წარდგენილი სამასი მოხსენებიდან ოცდაათზე მეტი ჩვენმა დელეგაციამ გააკეთეს. მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს ვ. ვ. პარინის მოხსენებამ კონგრესის დასკვნით სამეცნიერო სხდომაზე და ამავე დროს ნაჩვენებმა ფილმმა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-110" კვლევის შედეგების შესახებ. როგორც მილოვიდოვმა, ცნობილია, ამ თანამგზავრში იყვნენ ძაღლები „უგოლიოკი" და „ვეტეროკი".

შემდეგ ტელეფონთან მოვიდა საბჭოთა დელეგაციის წევრი პროფესორი ნ. ნ. მოისეევი, რომელმაც დასძინა, მადრიდის კონგრესის თავიისებურება ის იყო, რომ აქ წარმოდგენილ არა მარტო თეორიული, არამედ გამოყენებითი ხასიათის ბევრი ნაშრომი.

კონგრესის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო ავრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის სელვის მოხსენებამ, რომელიც მიეძღვნა ორბიტული ლაბორატორის პრობლემას. და ამერიკელ მეცნიერთა ზოგიერთმა სხვა მოხსენებამ.

კონგრესის დასკვნითს სხდომაზე აირჩიეს ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის ახალი ხელმძღვანელი ორგანოები. ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს იტალიელი მეცნიერი ნაპოლიტანო ვიეტი-პრეზიდენტებად — აკადემიკოსი ლ. ი. სედოვი, რომელიც კონგრესზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა, მ. ლუნეი (პოლონეთი), ე. კარაფფოლი (რუმინეთი) და კელერი (დასავლეთი ბერლინი). ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვიეცე-პრეზიდენტებად სოციალისტური ქვეყნების სამი წარმომადგენლის არჩევა იმის დადასტურებაა, რომ ამ ქვეყნების ასტრონავტულ მეცნიერებას დიდი გავლენა აქვს, თქვა ი. ვ. მილოვიდოვმა.

ეკვადორის ღამეუძინებელი კრების არჩევნები

გუაიაკილი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ეკვადორში გაიმართა ეროვნული დამფუძნებელი კრების — ამ ქვეყნის პარლამენტის არჩევნები. რეგისტრაციაში გატარებულმა 1,1 მილიონმა ქალმა და კაცმა აირჩია 67 დეპუტატი — ეკვადორის 19 პროვინციისა და გალაპაგოსის კუნძულის წარმომადგენლები.

17 დღის შემდეგ დამფუძნებელ კრებას ძალაუფლებას გადასცემს დროებითი პრეზიდენტი კლემენტე

ქართული პოეზიის დეკადა მოსკოვში

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ გრძელდება ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად იმართება. ქართველ პოეტებსა და მსახიობებს უველგან დიდი გულითადობით ხვდებიან. მახპინძლები გულდასმით უგდებენ ყურს ქართული ლექსის მუსიკას.

დეკადის მესამე დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მოსკოვის ოლქის ლიუბერცის რაიონის კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს ეწვივნენ. რაიონის ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო-კონცერტი. დარბაზში შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ დიდი შოთა რუსთაველის სამშობლოდან ჩამოსულ სტუმრებს. ქართველმა პოეტებმა ალიო მირცხულავამ, კარლო კალაძემ, ხუტა ბერულავამ, ოთარ ჭელიძემ და სხვებმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები. რუსი კოლეგები კითხულობენ ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანებს.

გასულ კვირადღეს ქართველ მწერალთა და მსახიობთა დელეგაცია სერგეი ესენინის მშობლიურ ქალაქს — რიაზანს ეწვია.

დღის პირველ ნახევარში სტუმრები იყვნენ სერგეი ესენინის სახლ-მუზეუმში ხოფელ კონსტანტინოვკაში. აქ მათ გულთბილად შეხვდა და ესაუბრა პოეტის და ალექსანდრა ესენინა. გამომშვიდობებისას კი სახსოვრად გადასცა პოეტის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“ (კონსტანტინე ბალმონტისეული თარგმანი, 1917 წლის გამოცემა).

საღამოს ქ. რიაზანის სერგეი ესენინის სახელობის თუატრში მოეწყო დიდი საღამო-კონცერტი.

ქართველმა პოეტებმა ა. მირცხულავამ, კ. კალაძემ, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, მ. ლებანიძემ, ო. ჭილაძემ, შ. ნიშნიანიძემ, ა. კალანდაძემ, ფ. ხალვაშმა და სხვებმა შეკრებილთ წაუკითხეს ლექსები.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელიც ქართველმა მსახიობებმა გამართეს.

ი. გრიშაშვილის ძეგლი მთაწმინდაზე

სურათებზე: ზემოთ — ი. გრიშაშვილის ძეგლი; ქვემოთ — პოეტის ფაქსიმილე კვარცხლბეკზე.

თბილისელებით გაივსო გასულ კვირას მთაწმინდის პანთეონი. აქ იყვნენ ი. გრიშაშვილის პოეზიის თაყვანისმცემლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, მეცნიერები, პოეტის მახლობლები და ნათესავები.

უყვავილებმა დაფარა საფლავი.

ორ საათზე ი. გრიშაშვილის საფლავზე გაიხსნა პოეტის ძეგლი.

ხიტყვით გამოვიდა ბ. ულენტი.

პიონერებს, თბილისის პიონერთა სახალხლის ნორჩ ლიტერატორთა წრის წევრებს მოაქვთ თაიგულები.

რადიოში დაიარხა ი. გრიშაშვილის ხმა:

„თუ ჩემი ლექსის ჯავარი
ერთს მაინც ემახსოვრება,
ვიტყვი: უქმად არ გავლილ
ჩემი პატარა ცხოვრება“.

ძეგლის ავტორია ახალგაზრდა მოქანდაკე ნელი ალექსიძე.

რ. ჭელიძე.

სტუმრები ლიტვიდან

ახალქალაქი, (საქდესი). მეორე წელია სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ლიტვის სსრ უკმერგეს რაიონის და ახალქალაქის რაიონის მშრომელები. ზაფხულში ახალქალაქის მშრომელთა დელეგაცია ეწვია ლიტველებს, ახალქალაქელებს კი ამას წინათ ეწვივნენ ლიტველები. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს რაიონში.

ახალქალაქის რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა მეგობრობის საღამო. ახალქალაქის რაიონის მშრომელთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ ილაპარაკა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. პეტროსიანმა.

უკმერგელთა შრომითი საქმეების შესახებ საღამოს მონაწილეებს უამბო პარტიის უკმერგის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანმა დ. კაზანცევმა.

სტუმრებმა რაიონის მშრომელებს საჩუქრად ჩამოუტანეს ხეზე ამოკვეთილი შოთა რუსთაველის პორტრეტი. ლიტვის სსრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბები.

• ამინდი

დღეს საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდს ვარაუდობენ, მცირე წვიმა და ნისლი მოსალოდნელია აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში. აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს მდინარე რიონის ხეობაში. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში — 18-23, მთაში 13-18 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 13-18, მთაში — 7-12 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 16-19 გრადუსი.

მშობლიური პეიზაჟები •



ეს სურათი გუშინ გადაიღო „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა. მარჯვნივ მოჩანს სურამის ციხე — წარსულის მწუხარე დღეების მატიანე, სიღრმეში კი — ახალი გიგანტი მინისტარის ქარხანა. ამ დღეებში ამუშავდება ამ უზარმაზარი ქარხნის პირველი ღუმელი, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 50 მილიონ ნახევარლიტრიან ბოთლს.

ხუთიოდე თვის შემდეგ მწყობრში ჩადგება ამ გიგანტის მეორე ღუმელიც. მაშინ ქარხანა წელიწადში მოგვცემს 130 მილიონ ბოთლს.

• სპორტი

ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი

გასულ კვირადღეს მოსკოვში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. პირველობის მთავარი პრეტენდენტი კვლავ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური წყალჯომარდობის კლუბის გუნდია.

სტარტზე ლიდერმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელებმა დაამარცხეს უახლოესი მეტოქე — მოსკოვის „ტორპედო“ ანგარიშით 5:2.

წარმატებით გამოვიდა თბილისის „დინამო“. იგი მთელ მატჩში ინარჩუნებდა ინიციატივას ლენინგრადის „ხპარტაკიადასთან“ პაექრობაში და გაიმარჯვა ანგარიშით 6:4. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო ლვოვის „დინამოს“ 1:0, კიევის „დინამომ“ — ბაკოს წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს 4:3. მატჩი მოსკოვის „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვების“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 3:3.

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

„ლოკომოტივი“ — „დინამო“

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობა ქვეჯგუფებში დასასრულს უახლოვდება. გასულ კვირადღეს გაიმართა უკანასკნელისწინა ტურის მატჩები.

პირველ ქვეჯგუფში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიან თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები, პირველობა უკვე უზრუნველყოფილი აქვს ვლადიკავკაზის „ალანიას“.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს — თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის „დინამოს“ უკანასკნელისწინა ტურის მატჩი ჰქონდათ გასულ კვირადღეს თბილისში. წარმატება „ლოკომოტიველებს ხვდათ. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ბერლინის ფიცარნაგზე

ბერლინში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. კვირას ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვემოსუბუქი წონის შტანგისტები. ამ წონითს კატეგორიაში საბჭოთა შტანგისტი არ მონაწილეობდა.

ძირითადი ბრძოლა იაპონელ და პოლონელ ძალოსანთა შორის წარიმართა. წარმატება ხვდა იაპონელ მიბაკეს, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 387,5 კილოგრამი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. პოლონელმა ნოვაკმა ვერცხლის მედალი მოიპოვა (382,5 კილოგრამი).

გუშინ გაიმართა მსუბუქი წონის შტანგისტთა ასპარეზობა. საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდა მსოფლიოს რეკორდმენი ი. კაცურა.

ხუთჭიდელთა ფორუმი

ერევანში შეიკრიბნენ საუკეთესო თანამედროვე ხუთჭიდელები. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება, რომელშიც უნდა გამოავლინოს არა მარტო საუკეთესო კოლექტივები. არამედ უძლიერესი სპორტსმენებიც — საბჭოთა კავშირიდან მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი.

სტარტზე გამოვიდა პრომეკავშირების, „დინამოსა“ და საბჭოთა არმიის 12 გუნდი. ჩემპიონატი გაიხსნა სომხეთის დედაქალაქის იპოდრომზე. გასული კვირადღის პროგრამაში იყო ცხენოსნური კროსი. ყველაზე უკეთესი შედეგი უჩვენეს მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 3 150 ქულა მეაგროვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კიევის არმიელები. მესამეზე — პროფკავშირთა პირველი ნაკრების სპორტსმენები.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილენი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ფარიკაობაში.

ნაკრების დამარცხება

გასულ კვირადღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ჩვენმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში 4 ახალი მოთამაშე იყო, ვერ გვიჩვენა მწვავე შემოქმედებითი ბრძოლა და დამარცხდა 0:1. სტუმრებმა ორივე ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს. გოლების ავტორები იყვნენ ოგანესიანი და ნინეშვილი.

სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ ბუნინიჩენკოვი (კავკაზაშვილი), აფონინი, შუტკევიჩოვი (ხუციშვილი), სოსნიცკი, დანილოვი, სპაო, ლენიოვი, პარკუშევი, ბანიშევსკი, სტრელცოვი, მატვეევი (ბოგაევი).

ეს ხოლოდის სტადიონებზე

გასულ კვირას ოდესის, ფრანკფურტში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჭაბურთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. გერმანელებმა 1:0. საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიში 1:0.

ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორ ეტაპზე ჩვენი ჯგუფის ლიდერები გახდნენ საბჭოთა ფეხბურთელები. კვირას მათ ბელორუსიაში დაამარცხეს ფინეთის გუნდი 3:1. სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ამავე ჯგუფში შედის ბრძოლაში ჩაერთება 1967 წლიდან.

სპორტული ქრონიკა

⊙ სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ბუდაპეშტში ეწვია და აქ გამართა საერთაშორისო მატჩი უნგრეთის გუნდთან. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ხელბურთელების სასარგებლოდ 20:16. ჩვენი რესპუბლიკიდან სსრ კავშირის ნაკრებში შედიან — აბაიშვილი, ცერცვაძე, ეკსეულიძე, ფხაკაძე.

⊙ მეხიკოში „სპორტის მეორე საერთაშორისო კვირეულზე“ მსოფლიოს ჩემპიონმა მინაკედმა ბ. ნიპასნიჩენკომ დაშნით ასპარეზობისა პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. მან ფინალის შეიდი შეხვედრიდან შვიდივე მოიგო. ტანმოვარჯიში ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვ. ჩასლავსკამ პირველობა არავის დაუთმო. ნ. ბუზინსკაია კვლავ მეორე იყო.

⊙ თბილისში დამთავრდა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ჭაბურთში ეაოთა გუნდებისათვის. ტურნირი წარმატებით ჩაატარა საქართველოს ნაკრებმა, რომელიც პირველი ადგილი დაიკავა.

⊙ ბრაზილიაში დასასრულს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის პირველობა რუსულ შაშში. ჩემპიონატის ფინიშამდე ოთხი ტური დარჩა. ლიდერები არიან ვ. ბაბაკინი, ი. აბუსტამოვი და ვ. ბაბაჩილიანი. რომლებსაც ცხრა-ცხრა ქულა აქვთ.

• გასტროლები და შთაბეჭდილებები

დ. პოპოვიჩის ორი გმირი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოვიდა სახელგანთქმული იუგოსლავიელი მომღერალი, ბელგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **დუშან პოპოვიჩი,** რომელიც მეორედ ეწვია ჩვენს დედაქალაქს. 1959 წელს თბილისელი მაყურებელი მხურვალედ უკრავდა ტაშს მის გამოსვლებს „აიდასა“ და „ტრუბადურში“. მომღერალი ამჟამადაც იმავე რეპერტუარით გვესტუმრა, კვლავ გვიჩვენა მაღალი ვოკალური კულტურა და გაზრდილი მღერის ოსტატობა.

მიუხედავად იმისა, რომ მას ძლიერი, დრამატული ხმა აქვს, მეტად მომხიბვლელად ჟღერდა ლირიკულ სცენებში. ამ მხრივ აღსანიშნავია სცენა ფიროსის „ნაპირზე („აიდა“), სადაც დაუოკებელი ბუნების ეთიოპიელი მეფე, ამაყი და შეუპოვარი ამონასრო-პოპოვიჩი, საშობლოსა და თავისი ხალხისადმი წრფელ და თავდადებულ სიყვარულს გადმოგვცემდა.

განსაკუთრებით დახვეწილი გმოვნება გამოამჟღავნა მომღერალმა დი-ლუნას პარტიაში („ტრუბადური“). გამომსახველი თრაზებით, დამაჯერებლად გადმოგვცა ამაყი რაინდის დი-ლუნას თავდავიწყებული სიყვარული ლეონორას მიმართ. რომლის გამო მზად იყო არაფრის წინაშე უკან არ დაეხია. ამ ორი კონტრასტული სახის ხორცშესხმით (ამონასრო და დი-ლუნა) მომღერალმა გვიჩვენა, თუ რამდენად შესანიშნავად ფლობს ვოკალური ოსტატობის რთულ ხელოვნებას.

პოპოვიჩს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს ჩვენი ოპერის სოლისტებმა. კარგად ჟღერდა რ. გოგრაძის ხმა, გმირული შემართებით და უზადო სიყვარულით იყო აღსავსე მისი რადამესი. კარგი იყო ალდა — ნ. ქაჯაია (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი). ლამაზი ტემბრი და შესანიშნავი სცენური ბუნებრივობა ახასიათებდა ა. მურადოვას. მისი ამნერისი უფრო ლირიკულ ხასიათს ატარებს. კარგი იქნება თუ ამ პარტიაში ხშირად გამოვა, რითაც მისი ოსტატობა სათანადოდ დაიხვეწება.

„ტრუბადურში“ ლეონორას პარტია შესანიშნავად რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. თაქთაქიშვილმა. მანრიკოს მღეროდა ვ. ბლუნჩაძე, აზოჩენს — ტ. მალიშევი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი).

საერთო წარმატებას ხელი შეუწყო დირიჟორმა ვ. აზმაიფარაშვილმა, რომელმაც ორიგინალ სპეტაკლი კარგ მხატვრულ დონეზე ჩაატარა.

ნ. სვანიშვილი.

* * *

სურათზე: დ. პოპოვიჩი — დი ლუნა („ტრუბადური“).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

◆

ნ. ზ. ფირადაშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რენტგენოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელმა, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ფირადაშვილმა** თბილისის ხელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ლიმფოგრანულომატოზი“ (კლინიკურ-მიოლოგიური ნარკვევი).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. ზ. ფირადაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ბერლინის ფიცარნაგზე

ბერლინში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. კვირას ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვემოსუბუქი წონის შტანგისტები. ამ წონითს კატეგორიაში საბჭოთა შტანგისტი არ მონაწილეობდა.

ძირითადი ბრძოლა იაპონელ და პოლონელ ძალოსანთა შორის წარიმართა. წარმატება ხვდა იაპონელ მიბაკეს, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 387,5 კილოგრამი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. პოლონელმა ნოვაკმა ვერცხლის მედალი მოიპოვა (382,5 კილოგრამი).

გუშინ გაიმართა მსუბუქი წონის შტანგისტთა ასპარეზობა. საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდა მსოფლიოს რეკორდმენი ი. კაცურა.

ხუთჭიდელთა ფორუმი

ერევანში შეიკრიბნენ საუკეთესო თანამედროვე ხუთჭიდელები. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება, რომელშიც უნდა გამოავლინოს არა მარტო საუკეთესო კოლექტივები. არამედ უძლიერესი სპორტსმენებიც — საბჭოთა კავშირიდან მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი.

სტარტზე გამოვიდა პროფკავშირების, „დინამოსა“ და საბჭოთა არმიის 12 გუნდი. ჩემპიონატი გაიხსნა სომხეთის დედაქალაქის იპოდრომზე. გასული კვირადღის პროგრამაში იყო ცხენოსნური კროსი. ყველაზე უკეთესი შედეგი უჩვენეს მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 3 150 ქულა მეაგროვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კიევის არმიელები. მესამეზე — პროფკავშირთა პირველი ნაკრების სპორტსმენები.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილენი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ფარიკაობაში.

ეს ხოლოდის სტადიონებზე

გასულ კვირას ოდესის, ფრანკფურტში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჭაბურთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ეს ორი ნაკრები ერთმანეთს ბოლოს 1965 წლის ოქტომბერში ხვდებოდნენ. ეს იყო ორ ეს.

ვინ იყვნენ მეტელეზენი? საიდან მოვიდნენ რესტორანში? ეი რა უნდა დაედგინა ეუნანარეს ყოველისა მილიციის ოპერატიულ ჯგუფს, რომელსაც დაევალა მკვლელის მონახვა და შეპყრობა.

ვინ იყო მკვლელი? ამის გამოსარკვევად არა ერთი დღე და ღამე გაატარეს ნეს პირველი მაისის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსმა ბ. ქებერნიამ, ნიანი.

გასროლა ქალის შემდეგ...

ეს საშინელი შემთხვევა 1965 წლის აგვისტოს ღამით მოხდა.

— ოფსუს, რა ქალი მოკვდა! —თქვა ერთმა.

— მისი შვსანდობარი იყოს! — დაეთანხმა მეორეც.

გვიან ღამემდე ღრეობდნენ რესტორან „რუსთაველში“, ბოლოს სუფრაზე აურზაური ატყდა. მოქეიფეებმა მიმტანს შეუტიეს.

— ანგარიშში გვატყუებ? ცხრა მანეთი გინდა მოქმთან წაგველტო, ვერ მოგარჩენით, — მიმართა ოფიციანტს ს. ნაბერეშვილს მაღალ-მაღალმა კაცმა. მას სხვებმაც მისცეს ბანი...

ძალე მეექელეზეებმა დარბაზი გინებით დატოვეს.

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ პლეხანოვის პროსპექტის მხრიდან ლია ფანჯარაში რეგოლვერმა ექვსჯერ ფაიტეტ. ტყვიით განგმირული მიმტანი ივანე ალეგელაძე უსულოდ დაეცა.

რეგოლვერის გასროლის რამდენიმე წუთის შემდეგ რესტორანში გამოცხადდა თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე სისხლის სამართლის დარგში ა. ციბეკაძე. დამნაშავის კვალი არ ჩანდა. მოწმეები ერთსა და იმავეს ამბობდნენ:

— ფრეზ ის მეექელეზენი იყვნენ, როდესაც ანგარეზთ დატოვეს რესტორანი? ისინი სმის ოროს ხშირად ასაზეღებდნენ ვოოკ გარეთ ანას...

ისიც თქვეს, დამნაშავენი შეროზიას ქუჩისაკენ გაიქცენეზ. ეს იყო და ეს.

ვინ იყვნენ მეექელეზენი? საიდან მოვიდნენ რესტორანში? ეი რა უნდა დაედგინა ეუნანარეს ყოველისა მილიციის ოპერატიულ ჯგუფს, რომელსაც დაევალა მკვლელის მონახვა და შეპყრობა.

ვინ იყო მკვლელი? ამის გამოსარკვევად არა ერთი დღე და ღამე გაატარეს ნეს პირველი მაისის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსმა ბ. ქებერნიამ, ნიანი.

სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა გ. გასვიანმა, ოპერუფროსეზეზეულმა ნ. გურგენიძემ.

მექელეზეთა სუფრის ერთ-ერთი მონაწილის ქალს მიაგნეს. იგი აღმოჩნდა თბილისში სტუმრად ჩამოსული გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი ოეზო იარდალაშვილი.

— როგორ ბრა, ვიყავი ცხონებულ ანას პანაშვიდზე. რომელიც ლესილიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. პატივი ვიცეთ, დავასაფლავეთ, ოჯახშიც დაბრუნდით...

— მაინც რამდენი ჭიქა ღვინო შესვეთ? — ჰკითხა მილიციის ოპერმუშაკმა.

— ქალეზზე ცოტა, ცხრა-ცხრა, მგონი თერთმეტიც, ეს იყო და ეს...

— შემდეგ საით გაეგმგზავრეთ?

— რესტორან „რუსთაველში“ მიმიბატიეს, არ მახსოვს, ვინ იყვნენ. ერთი მთვანანი, მგონი, ინჟინერ-გეოლოგი იყო, სახელად ტოლიკს ეძახდნენ, ისე გამაცნეს. ხომ იცით პუროსეზმაში ბევრ მეგობარს შეიძენ...

ჯერ მიკიბ-მოკიბეზი დაიწყო. მერე იძულებული გახდა ყველაფერი ეთქვა. თურმე მან ქარგად იცოდა ამ მკვლელობის ამბავი. მაგრამ პედაგოგი კაცი ფარავდა საზოგადოებისათვის საშიშ გარეგნრებს. ბოროტების მონაწილე ნეტა რა პირით. რა ენით ელაპარაკებოდა მოსწავლეებს სიმართლეზე, ადამიანის პატიოსნებაზე.

გაარჩევეზული ოპერატიული მუშაობის შედეგად ძალე მეექელეზეთა სუფრის მეორე მონაწილეც მონახეს. ეს არის „დოსაფის“ რესპუბლიკური კომიტეტის საგზაეტრო ფოტოლაბორატორიის ლაბორანტი რობერტ როსტომის-ძე არეთინანი.

— მართალია, რეეოლვერის რამდენიმე გასროლის ხმა გაიეგე, მაგრამ არ ვიცი, ვინ იყო და საიდან ესროლეს, — თქვა მან და პატიოსანი კაცის სახე მიიღო.

მილიციის ორგანოს მიერ მოკვლეული მყარი მასალების საეუქვილზე მკვლელი მონახეს. ეს არის „საქნავთის“ კომბლექსური ლაბორატორიის ტექნიკოს-გეოლოგი ანატოლი ანდრიას-ძე იაროვი, იგივე „ტოლიკი“.

— ხომ იცით, ქალეზს სმა მოსდეეს, ბევრჯერ მაგარი სმაც. მეც იმ დღეს მთვრალი ვიყავი. არ მახსოვს, ისე გავითამაშე, მგონი რამდენჯერმე ვისროლე კიდეც...

— რეეოლვერი რა უყავით? — ჰკითხა მილიციის მუშაკმა.

პაუზის შემდეგ ადგილზედ თქვა...

— ფიდი შემომაკლდა, გავიყიდე...

მკვლელმა ა. ბ. იაროვმა „ნაგანის“ სისტემის რეეოლვერი, რომლითაც ა. ანელაძე მოკლა, თერმეტ მანეთად მიჰყიდა ვინმე მუქთახორა შარა კრავცოვს, რომელიც ახსენეს ჭ. № 18/20-ში ცხოვრობს. მას საბრძოლო ვაზნებით მთლიანად შეეკვო იარაღი.

მკვლელმა აღიარა თავისი დანაშაული.

— შევიცდი, მოვკალი!

რა ადვილად თქვა ეს ორი სიტყვა!

სასროლი იარაღის „თამაშის“ ასეთი შეთმხვევა არცთუ იშვიათია, ამას, როგორც წესი, ყოველთვის უბედურება მოსდევს.

მიმდინარე წლის 2 აპრილს ტაქსის მძღოლის შვილმა ელდარ სულიკოს-ძე ელიზბარაშვილმა მამისეული „ნაგანის“ ტყვიით მოკლა მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლე ლალი დადენაშვილი.

უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა ოჯახი და სკოლა. უდროოდ დაიღუპა ნიჭიერი გოგონა, ყველისმა და სიცოცხლეს რომ ეტრფოდა, უმაღლეს სასწავლებელზე ოჯახისა და ქვეყნის ბედნიერებაზე ოცნებობდა.

საბჭოთა კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც სასროლ იარაღს მალავდა, ვისი მეშვეობითაც ორი ადამიანის სიცოცხლე მოისპო.

არ შეიძლება სტყდეს არ ითქვას ერთ დასაგმობ ჩვეულებეზე.

სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ჩვეულების ცუდი გადმონაშთი — ქალეზი. მას საზოგადოებისათვის ზიანის მეტი არა მოუქვს.

არცთუ იშვიათია ისეთი ფაქტი, როცა მიცვალებულს პატიოსანებმის მაგიერ იმართება გადაჭარბებული სმა, რაც ხშირად ღრეობად იქცევა ხოლმე. ბევრჯერ ამას თავაწყვეტილი ხულიგნობა, სისხლის სამართლის დანაშაულიც მოსდევს.

ცხადია, საამწუხაროა საყვარელი ადამიანის დაკარგვა, რასაც ბევრჯერ იმით გამოიხატავთ, რომ მეექელეზისადგარად პატიოს ვიკვამთ გარდაცვლილის ხსოვნას. ჭიქას ეიწვევთ მის მოსაგონრად. მაგრამ განა პატივისცემაა ლოთობები. აღიარებსნილი ქეიფით ადამიანთა ადამიანის გარდაცვალეზა?

რა დადებეზოდ აქეს ნათქვამი დიდ ვაჟას: „მეგობრის პატივისცემა იმ ზომამდე არ უნდა მივიყვანოთ, ეოცხლები ამათ მსხვერპლად შევეწიროთ“.

ვგრეზ: მკვლელებსა და მათს ხელშემწყობებს. მთავრეელებს მართლმ ჯეელება გასცემს ღირსეულ პასუხს.

შ. ჩხატარაშვილი,

თბილისის ხაქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი.

სესხთა მოგების ტირაჟები 1967 წელს

დამტკიცდა თავისუფლად მიმოქცევადი სესხების მოგებათა ტირაჟების მოწყობის 1967 წლის გეგმა. სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საკრედიტო კორესპონდენტს აცნობეს:

— 1947 წელს გამოშვებული სახელმწიფო სამპრიალენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟები მოეწყობა: 30 იანვარს — მოსკოვში, 30 მარტს — ფრუნზეში, 30 მაისს — დუშანბეში, 30 ივლისს — დონის როსტოვში, 30 სექტემბერს და 30 ნოემბერს — მოსკოვში.

ამ სესხის ძირითად ტირაჟებში გათამაშდება 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40-მანეთიანი მოგებანი, დამატებით ტირაჟში კი გარდა ამისა, 10.000-მანეთიანი მოგებანი.

1966 წლის სახელმწიფო სამპრიალენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟები მოეწყობა: 15 თებერვალს — დნეპროპეტროვსკში, 30 მარტს — მინსკში, 15 მაისს — სვერდლოვსკში, 30 ივნისს — ალმა-ატაში, 15 აგვისტს — ვოლგოგრადში, 30 სექტემბერს — რიგაში, 15 ნოემბერს — ბაქოში, 30 დეკემბერს — ვორონეჟში.

ამ სესხში გათამაშდება 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40-მანეთიანი მოგებები. (საკ.ინფ.).

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 20 ნოემბერს, 11 დეკემბერს თბილისს; 27 ნოემბერს, 18 დეკემბერს ბოლოსავლეთ: 30 ოქტომბერს, 4 დეკემბერს ახალციხეს, ხოლო 23 ოქტომბერს, 20 ნოემბერს, 18 დეკემბერს წნორის საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32), ახალციხეში — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში, წნორში — ქართული საშუალო სკოლის შენობაში, რუსთავში — მე-2 მუშახალგაზრდობის საშუალო სკოლის შენობაში (კოლექტივიზაციის ქუჩა № 10). კონსულტაციების ცხრილის გაცნობა და მიღება შეეძლება საკონსულტაციო პუნქტებში.

კონსულტაციები დაწყება: თბილისში — 10 საათიდან, საკონსულტაციო პუნქტებში — 11 საათიდან.

ამავე დღეებში თბილისის პუნქტში ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოცდა: მოეწყობა ზამთრისა (მომავალი) და ზაფხულის (დავალიანება) სასესიო საგნებში, ხოლო რაიონების საკონსულტაციო პუნქტებში გამოცდები დაინიშნება სტუდენტთა მიერ გამოგზავნილი განცხადებების მიხედვით.

სტუდენტებს შეუძლიათ წერილობითი კონსულტაციებისათვის მიმართონ დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატს.

ის სტუდენტები, რომლებიც ზაფხულის სასესიო საგნებს 15 ნოემბრამდე არ ჩააბარებენ, ზამთრის საგამოცდო სეს-ეზე არ დაიშვებიან.

შენიშვნა: 1. დაუსწრებელ სტუდენტებს კონსულტაციები შეუძლიათ მიიღონ გორის, თელავის, ქუთაისის, ბათუმის, ზუსტაფონის, სოხუმსა და ცხინვალის საერთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, რომლებშიც კონსულტაციები მოეწყობა შესაბამისი პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

2. მეხუთე კურსის პირველი კატეგორიის სტუდენტებმა (არა მასწავლებლები) პედპრაქტიკა უნდა გაიარონ ქ. თბილისში ა. წ. 9 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე წარმოებისაგან მოწყვეტით. ამიტომ ისინი ინსტიტუტში უნდა გამოცხადდნენ 9 ნოემბრს. მეორე კატეგორიის სტუდენტები ე. პრაქტიკას გაიკლიან პირველ ნოემბრიდან სემესტრის ბოლომდე წარმოებისაგან მოწყვეტლივ.

ეს ხოლოდის სტადიონებზე

ბაბაკინი, ბაბაჩილიანი, ბაბაბერი

ეს ბაბაკინი, ბაბაჩილიანი, ბაბაბერი ... ეს ... ...